5 წელი ევრაზიის ინსტიტუტი – შუალედური შედეგები

თბილისი, 2014 წ.

© ევრაზიის ინსტიტუტი
2014 წელი

ინსტიტუტის დაარსების პრეისტორია და ძირითადი მიზნები

არაკომერციული იურიდიული პირი „ევრაზიის ინსტიტუტი“ დაფუძნდა 2009 წელს, პოლიტოლოგთა მცირე ჯგუფის მიერ, როგორც ანალიტიკური ცენტრი, ე. წ. Think Tank-ის მცირე მასშტაბების ქართული ანალოგი. თუმცა ევრაზიის ინსტიტუტის დაარსებას წინ უსწრებდა რიგი პროექტებისა, გამომდინარე აღნიშნულ პოლიტოლოგთა ჯგუფის მოქალაქეობრივი პოზიციიდან. კერძოდ, მათ მიერ „ვარდების რევოლუცია“ და მის შედეგად დამკვიდრებული მ. სააკაშვილის რეჟიმი მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის უკიდურესად მავნე მოვლენად. ეს შეფასება კიდევ უფრო გამძაფრდა 2008 წლის აგვისტოს ომის მომენტისათვის. ამ დროს ფუნქციონირებდა ინტერნეტ-ფორუმი სახელწოდებით „პოლიტ-ფორუმი“, რომელსაც გულბაათ რცხილაძე – ევრაზიის ინსტიტუტის მომავალი დამაარსებელი, ხელმძღვანელობდა. „პოლიტფორუმი“ იყო პრაქტიკულად ერთადერთი მასმედია საქართველოში, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს დღეებში მოვლენებს თავისი სახელი დაარქვა და სააკაშვილის მიერ მოწყობილ დანაშაულებრივ პროვოკაციაზე ღიად და დაუფარავად ალაპარაკდა. ხელისუფლების რეაქციამ არ დააყოვნა და „პოლიტფორუმის“ სერვერი გაითიშა, რამაც დროებით დააბრკოლა მისი ფუნქციონირება, უცხოურ სერვერზე გადასვლამდე.

ხელისუფლების ამგვარმა ქმედებებმა, ასევე რუსეთის მიმართ აღებულმა რადიკალურად კონფრონტაციულმა კურსმა განაპირობა ევრაზიის ინსტიტუტის დაარსება, რომელიც აკადემიურად, საექსპერტო ანალიზის საფუძველზე აწვდიდა (და აწვდის) საზოგადოებას დასკვნებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, ახდენდა რუსეთთან დარეგულირებისა და დაახლოების იდეების გახმაურებას ყველაზე მძიმე პერიოდში, როდესაც ხელისუფლების მიერ მსგავსი იდეები ეროვნულ ღალატად ცხადდებოდა, ადამიანებს კი ჯაშუშობის ბრალდებით სვამდნენ ციხეებში. ევრაზიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე, გარდა რუსეთთან ურთიერთობის და შიდაპოლიტიკური საკითხების განხილვისა, კეთდებოდა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მონიტორინგი, საქართველოში პირველად ევრაზიის ინსტიტუტმა მიუძღვნა ანალიტიკური სტატიების სერია ირანის ისლამურ რესპუბლიკას და ა. შ.

დღესდღეობით ევრაზიის ინსტიტუტის მთავარ პრიორიტეტად რჩება რუსულ-ქართული ურთიერთობები – როგორც ამ ურთიერთობების ანალიზი, ისე მათი გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული ხელშეწყობა. გარდა ამისა, ყურადღების ცენტრშია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისა და საგარეო პოლიტიკის, ასევე მთელი რიგი საერთაშორისო მოვლენების მონიტორინგი და ანალიზი.

ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებები

– ინსტიტუტის სპეციალისტებისა და მოწვეული ავტორების მიერ სტატიების მომზადება, ინტერვიუები ქართულ და საერთაშორისო მასმედიასთან;

– მრგვალი მაგიდებისა და სემინარების გამართვა ექსპერტებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით, მათ შორის საერთაშორისო სტატუსით;

– ბეჭდვითი მასალების გამოცემა – წიგნები, ბროშურები;

– დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, პროექტების მომზადება და მათ განხორციელებაში დახმარების გაწევა;

– სოციოლოგიური გამოკითხვა-კვლევების დაგეგმვა და ჩატარება.

2012 წლის საარჩევნო კამპანია და ევრაზიის ინსტიტუტი

ინსტიტუტის წევრებმა თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს წინასაარჩევნო პერიოდშიც. ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ასევე ექსპერტები დაბეჯითებით მიესალმნენ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე 2011 წლის ოქტომბერში. გამოქვეყნდა ანალიტიკური სტატია სათაურით „ბორის, შენ მართალი ხარ!“ ევრაზიის ინსტიტუტის წევრებმა შეძლებისდამიხედვით მედიაკამპანია გამართეს (პირველ ყოვლისა, პრესაში და ინტერნეტში, სოციალური ქსელების ჩათვლით – პროექტს ხელმძღვანელობდა კონსტანტინე ჩიკვილაძე), რომელიც ასაბუთებდა ბ. ივანიშვილის მიერ რუსეთთან დარეგულირებაზე გაცხადებული კურსის აუცილებლობას, ვინაიდან ამ კურსის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხი არ გადაწყდება, რომ არაფერი ითქვას ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე.

უშუალოდ არჩევნების წინ, 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში, ევრაზიის ინსტიტუტის მონაწილეობით შედგა და 10-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა სააკაშვილის რეჟიმის მამხილებელი ბროშურა სახელწოდებით „ვარდების რევოლუცია. შედგები“. ბროშურას რამდენიმე ავტორი ჰყავს, რომლებმაც საექსპერტო დონეზე და თან პოპულარული ენით ასახეს სააკაშვილის „დემოკრატია“ და ეკონომიკური „მიღწევები“, საგარეოპოლიტიკურ „წარმატებებთან“ ერთად. ბროშურა გავრცელდა გაზეთ „ახალი თაობის“ ერთი დღის ტირაჟის მეშვეობით, აგრეთვე ინსტიტუტის წევრების მიერ უშუალოდ, პრინციპით „ხელიდან ხელში“. მოხდა ბროშურის რეკლამირება ელექტრონული და ბეჭდვითი მასმედიის საშუალებითაც. ტირაჟის ნაწილი ინგლისურ ენაზე გამოიცა და

დაურიგდა თბილისში მოქმედ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა უმრავლესობას.

პარალელურად ამისა, ინსტიტუტის მიერ რუსულ მედიაში ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ შესახებ პოზიტიური კომენტარები კეთდებოდა, წინასწარ იქმნებოდა დადებითი ფონი რუსულ-ქართული ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

ბოლო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები

აგვისტო-სექტემბერი, 2012 წ.: ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, წინასაარჩევნოდ პარტიული რეიტინგებისა და მოსახლეობის ნატოსადმი დამოკიდებულების შესახებ (გამოიკითხა 3 ათასზე მეტი ადამიანი, საქართველოს მასშტაბით).

გასხვავებით საქართველოში ჩატარებული ყველა სხვა გამოკითხვისაგან, ევრაზიის ინსტიტუტის გამოკვლევა არ წარმოადგენს რომელიმე პოლიტიკური პარტიის, ისევე როგორც საერთაშორისო „დონორების“ – სხვადასხვა ორიენტაციის უცხოური ორგანიზაციების დაკვეთის პროდუქტს. იგივე ეხება ჩვენი ინსტიტუტის გამოკითხვის დაფინანსებასაც – საველე სამუშაოები ენთუზიასტების მიერ იქნა ჩატარებული, ძირითადად, სოციოლოგიური პროფილის სტუდენტების მიერ, რომლებიც დათანხმდნენ, სამუშაო შეესრულებინათ მხოლოდ მიმდინარე ხარჯების ანაზღაურების (მაგ., ტრანსპორტი) სანაცვლოდ, რაც ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და წევრების პირადი შემოწირულობებით იქნა უზრუნველყოფილი. ეს ხარჯები მინიმალური იყო იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სტუდენტი-ინტერვიუერი ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ჩატარდა გამოკითხვები.

გამოკითხვა ანონიმური იყო. რესპონდენტებს კითხვები ესმებოდათ არასამთავრობო ორგანიზაცია ევრაზიის ინსტიტუტის სახელით, მხოლოდ და მხოლოდ ბინაზე, აღნიშვნებისგან თავისუფალი ანკეტების შევსების გზით. რესპონდენტთა შერჩევა შემთხვევითობის პრინციპს ეფუძნებოდა, მათი ასაკის, სქესისა და სოციალური მდგომარეობისგან დამოუკიდებლად. დაცულ იქნა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის პარიტეტი. იმ რეგიონებისა და დასახლებული პუნქტების მდებარეობა, რომლებშიც გამოკითხვა ჩატარდა, ითვალისწინებს საქართველოს საარჩევნო პრაქტიკის კონტექსტში რელევანტურ ეთნო-დემოგრაფიულ თავისებურებებს.

კვლევის ობიექტს შემდეგი თემები წარმოადგენდა:

1. პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგი, პირველ ოქტომბერს დანიშ-

ნული საპარლამენტო არჩევნების წინ;

2. მოქალაქეთა მზადყოფნა საკუთარი არჩევნის აქტიურად დასაცავად;

3. მოსახლეობის წარმოდგენა ნატო-ს შესახებ და ამ ორგანიზაციისადმი მისი დამოკიდებულება.

გამოკითხვამ პირველ ორ პუნქტთან მიმართებით აჩვენა, რომ მოქალაქეები მთლიანობაში უფრთხოდნენ საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების დაუფარავად გამოხატვას, რაც უფრო მაშინდელი ოპოზიციური კოალიციის – „ქართული ოცნების“ შანსებს ზრდიდა. ხოლო მათი ხმების შედეგებმა, ვინც მაინც გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი, „ქართული ოცნების“ მცირედი უპირატესობა აჩვენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინაშე. საბოლოო ჯამში ასეც გამოვიდა – ჩვენი პროგნოზი გამართლდა, „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებზე. საინტერესოა, რომ ე. წ. „საზოგადოებრივმა ტელევიზიამ“ ჩვენი გამოკითხვების შედეგები მიაჩუმათა.

რაც შეეხება კითხვების მესამე კატეგორიას, ნატოსთან დაკავშირებით, ევრაზიის ინსტიტუტის გამოკითხვა საქართველოსთვის უნიკალურია, რადგან ანკეტაში წარმოდგენილი შეკითხვები, ასეთი კომბინირებითა და რიგითობით ჯერ არასოდეს დასმულა ქართველი რესპონდენტების წინაშე.

„ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები ძირითადად მიიჩევენ, რომ საქართველოსა და ნატო-ს ინტერესები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს (67%), ისინი დადებითად უყურებენ საქართველოში ნატო-ს სამხედრო ბაზების შესაძლო განთავსებასაც (40 პროცენტი 28 პროცენტი საწინააღმდეგო აზრის და 32 პროცენტის, ვისაც პასუხის გაცემა უჭირს ამ კითხვაზე, წინააღმდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეების რიგებიდან). „გაურკვეველთა“ პასუხები, პირიქით, მეტწილად ემთხვევა „ქართული ოცნების“ მომხრეთა პასუხებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს და ნატო-ს ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა (53% – „არ ემთხვევა“ 10% „ემთხვევა“-ს და 36% „მიჭირს პასუხის გაცემა“-ს წინააღმდეგ – „ქართული ოცნების“ მომხრეები; 25% – „არ ემთხვევა“, 29% „ემთხვევა“ და 44% – «მიჭირს პასუხის გაცემა” – „გაურკვევლები”; 67% – „ემთხვევა”, 8% – „არ ემთხვევა”, 25% – „მიჭირს პასუხის გაცემა” – „ნაცმოძრაობის“ მომხრეები).

კიდევ უფრო აშკარაა თანხვედრა „ქართული ოცნების“ მომხრეთა და „გაურკვეველთა“ შორის საქართველოში ნატო-ს სამხედრო ბაზების განთავსების პერსპექტივასთან მიმართებაში („ოცნების“ მომხრეთა 58% მიიჩნევს, რომ ნატო-ს სამხედრო ბაზები საქართველოში არასასურველია, 34%-ს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 8 პროცენტია ამის მომხრე; „გაურკვეველთა“ შორის შეკითხვების იმავე რიგითობით შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: 29% – 49% – 19%) და განსა-

კუთრებით, ნატო-ს სამხედრო ოპერაციებში – ავღანეთსა და კოსოვო-ში ქართველი სამხედროების გაგზავნასთან დაკავშირებით („ოცნების“ მომხრეთა 88% ამის წინააღმდეგია, 8%-ს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 4% ემხრობა; „გაურკვევლები“: 62% – წინააღმდეგია, 25%-ს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 11% არ არის წინააღმდეგი, თუკი ქართველ ჯარისკაცებს გააგზავნიან მსოფლიოს „ცხელ წერტილებში“. შედარებისათვის: „ნაცმოძრაობის“ მომხრეთაგან ისევ და ისევ 40% ემხრობა ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობას ავღანეთისა და სხვა კამპანიებში, 32%-ს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 28%-ია წინააღმდეგი, თუმცა თუ ამ ბოლო ციფრებს განყენებულად განვიხილავთ, გამოდის, რომ საქართველოს მონაწილეობა ავღანურ და ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სხვა კამპანიებში არც თუ ისე პოპულარულია თვით ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს შორისაც კი).

ნატო-ს პოპულარობა საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, აშკარად დაეცა. კომბინირებული კითხვები ზოგიერთ საინტერესო მომენტს ააშკარავებს – თუკი რესპონდეტებს ზოგად შეკითხვებს ვუსვამთ ნატო-ზე, მათი წარმოდგენები საკმაოდ პოზიტიურია (მაგალითად, შეკითხვაზე, ნატო თავდაცვითი კავშირია თუ აგრესიული ბლოკი, 52% ფიქრობს, რომ იგი თავდაცვითი კავშირია, 34%-ს პასუხის გაცემა უჭირს, და მხოლოდ 12% ამბობს, რომ ნატო „აგრესიული სამხედრო ბლოკია“). მაგრამ რაც უფრო მჭიდროდ დავაკავშირებთ ნატო-ს ქართულ რეალიებთან და საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, მით უფრო ნეგატიური ხდება პასუხები: 33% – მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობა – მიიჩნევს, რომ ნატოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, სამაგიეროდ, 32 პროცენტი 25 პროცენტ მომხრისა და 42 პროცენტ შეკითხვაზე პასუხის არმქონე რესპონდენტის წინააღმდეგ ფიქრობს, რომ ნატო-ს სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნისათვის საფრთხის შემცველი იქნება. „ცხელ წერტლებში“, როგორებიცაა, მაგალითად, ავღანეთი და ერაყი, ნატო-ს ეგიდით ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 16%, ხოლო 60% ამის წინააღმდეგია. მაგრამ ნატო-სთვის აბსოლუტურად „გამანადგურებელი“ შედეგია საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის პრიორიტეტი – გამოკითხულთა 83% უპირატესობას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიანიჭებს ნატო-ში წევრობის საწინააღმდეგოდ, თუკი ასეთი დილემა წარმოიშობა (რაც, დავძენთ, სავსებით რეალურია). ამასთან, ტერიტორიული მთლიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს შორისაა – მათგან მხოლოდ 73% ანიჭებს უპირატესობას ტერიტორიულ მთლიანობას, ნატო-ში წევრობასთან შედარებით.

დიაგრამა 1

საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, დღეს საქართველოსა და ნატოს მიზნები ემთხვევა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ნატოს მიზნები განსხვავებულია. თქვენ რომელ აზრს ეთანხმებით – პირველს თუ მეორეს? – გამოკითხვის შედეგი საქართველოს მასშტაბით:



დიაგრამა 2

გამოკითხვის შედეგი „ქართული ოცნების“ მომხრეებს შორის:



სექტემბერი, 2012 წ.: ბროშურის „ვარდების რევოლუცია. შედეგები“-ს შედგენასა და მის გავრცელებაში მონაწილეობის მიღება.

კრიტიკული და, ამასთან ერთად ობიექტური საექსპერტო შეფასება ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგებისა. ეს ბროშურა გავრცელდა ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა შორის უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების წინ.

სექტემბერი, 2012 წ.: სემინარის „საქართველო და გლობალიზაცია“ გამართვა.

აკადემიურმა წრეებმა და სტუდენტებმა განიხილეს საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება გლობალიზაციის პროცესებს. ყველაზე უფრო საინტერესო მოხსენებები ევრაზიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

ნოემბერი, 2012 წ.: პოლიტიკოსების (ოპოზიციური დეპუტატები), ეკო-

ნომისტებისა და პოლიტოლოგების მოწვევა ლატვიიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან ბალტიის სახელმწიფოთა პრობლემების განსახილველად მათი ნატოსა და ევროკავშირში შესვლის შემდგომ. საექსპერტო კონფერენციის ჩატარება თბილისში, შეხვედრები ჟურნალისტებთან, სტუდენტებთან და ქართული საზოგადოებრიობის დაინტერესებულ წარმომადგენლებთან თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

საქართველოში ბევრი უკვე მიეჩვია, რომ ბალტიისპირეთიდან მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის მოკავშირე პოლიტიკოსები და კომენტატორები ჩამოიდიოდნენ, რომლებიც ქართულ საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ საქართველო „სწორ გზაზეა“, მას მალე მიიღებენ ნატოსა და ევროკავშირში, და ეს დიდი ბედნიერებაა. მეტიც, ბალტიისპირა ქვეყნების ზოგიერთი პოლიტიკოსი უკვე 20 წელიწადზე მეტია, ჯერ „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერებს, შემდეგ კი სახელმწიფოს ლიდერებს, აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგ – მიდით, რუსებს ბოლომდე „დასცხეთ“, ჩვენ მხარს დაგიჭერთო. ბედოვლათი და უპასუხისმგებლო ქართველი პოლიტიკოსები ამ ანკესზე იყვნენ წამოგებულნი. ამიტომაც, ზემოთ აღნიშნულმა ქართველ პოლიტოლოგთა ჯგუფმა გადაწყვიტა, ასე ვთქვათ, ნორმალური ხალხის მოწვევა და საზოგადოებისთვის დანა-ხება – ბალტიისპირეთში არა მარტო პროვოკატორები, არამედ ობიექტური და საქართველოს კეთილისმსურველი ადამიანებიც ცხოვრობენ.

კონკრეტულად, მათ მიერ წარმოჩენილი სურათის მიხედვით, ბალტიისპირეთის ხალხები არც თუ ისე კმაყოფილნი არიან ვროკავშირსა და ნატოში წევრობის ფაქტით. ევროკავშირში შესვლამ მათი სუვერენიტეტი არანაკლებად შეზღუდა, ვიდრე საბჭოთა კავშირში ყოფნამ. ეს ფაქტია. განსხვავება ისაა, რომ საბჭოთა კავშირში ცენტრის დიქტატს შეუნიღბავი ხასიათი ჰქონდა, ბრიუსელი კი ირიბი მეთოდებით აღწევს იმავე შედეგებს (თუმცა როცა საჭიროა, არც მკვეთრ განცხადებებს და პირდაპირ ბრძანებებს ერიდება). ასე მაგალითად, ფრანგული ატომური ლობის დამსახურებაა ლიტვაში, თანამედროვე იგნალინის ატომური ელექტროსადგურის დახურვა. ლიტვა თავად მოიხმარდა ამ ატომური ელ.სადგურიდან იაფ ელექტრო-ენერგიას და ექსპორტსაც ახორციელებდა მეზობელ ქვეყნებში. ევროკავშირმა ფული გამოყო ამ წარმატებული საწარმოს დასახურად და ლიტველებს იგი საკუთარი ხელით გააჩერებინა. ახლა ლიტველები ელექტროენერგიის იმპორტს ეწევიან და ამაში დიდ ფულს უხდიან ევროპელებს და რუსეთს. კომუნალურ გადასახადებში, რომლის ლომის წილს ელექტროენერგია და

ბუნებრივი აირი შეადგენს, რიგითი ლიტველი საშუალოდ 200 ევროს იხდის თვეში. ეს მისი შემოსავლების მესამედია ან ხშირად, ნახევარიც. მეზობელ ლატვიაში, იმავე ევროკავშირის სუბსიდიებით, ლატვიელებს მოასპობინეს თევზსაჭერი ფლოტი. ლატვიას სსრკ დანატოვარი, მსოფლიოში სიდიდით მესამე ფლოტი ჰქონდა, იაპონიის და ნორვეგიის შემდეგ. ბრიუსელის დოტაციებზე მყოფმა ბიუროკრატიამ განახორციელა არანაკლებ ანტიეროვნული ღონისძიება, ვიდრე ლიტვაში მოხდა ატომურ ელ.სადგურთან დაკავშირებით – ლატვიის ევროპულმა ხელისუფლებამ ჯართად აქცია და გადაადნო ლატვიის ფლოტი.

ნატოში წევრობას რაც შეეხება, არც ერთ ბალტიისპირა რესპუბლიკას არ აქვს იმის შეგრძნება, რომ ნატოს სახით მათ თავგამოდებული დამცველი ჰყავთ. ბალტიის ხალხებმა იციან, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში მათ ნატოს დახმარება გარანტირებული არ აქვთ. შესაბამისად, პოლიტიკოსებიც დაძაბულნი არიან რუსეთთან მიმართებით.

დეკემბერი, 2012 წ.: სექტემბერში ნატოსადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ ჩატარებული გამოკითხვის საექსპერტო განხილვა.

2012 წლის 20 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო „ვერე პალასში“ შედგა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ამავე წლის აგვისტოს ბოლო – სექტემბრის დასაწყისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების საექსპერტო განხილვა.

თებერვალი, 2013 წ.: პოლიტიკური პატიმრის სტატუსით ამნისტირებული, ევრაზიის ინსტიტუტის პროექტების მენეჯერი შოთა აფხაიძე ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში ჩადის, სადაც ღიად, ბრიფინგებზე და მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოში ადგილი ჰქონდა ოსი ხალხის გენოციდის მცდელობას სააკაშვილის მხრიდან.

„2008 წლის აგვისტოს მოვლენები პირდაპირი აგრესია, ავანტიურაა, რომელიც მოაწყო სააკაშვილმა, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციასთან ერთად. ისინი თავს დაესხნენ პირდაპირი გაგებით მძინარე ქალაქს და ბომბავდნენ უდანაშაულო ადამიანებს. და აი ამ ქმედებების შემდეგ სააკაშვილი თავს იმართლებს, რომ აშენებდა დემოკრატიას და იცავდა ადამიანის უფლებებს, თითქოს საქართველოს აახლოებდა დასავლეთთან. სააკაშვილი მოიქცა, როგორც უკანასკნელი ადამიანი და ეს, ჩემი შეფასებით, ოსი ხალხის გენოციდია. იგი უნდა გადაეცეეს საერთაშორისო ტრიბუნალს“ – განუცხადა ჟურნალისტებს ქართული დელეგაციის წევრმა შოთა აფხაიძემ.

თებერვალი, 2013 წ.: ევრაზიის ინსტიტუტი ორგანიზებას უკეთებს

და წარმატებით ახორციელებს პირველ საზოგადოებრივ დისკუსიას რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით, რაც სააკაშვილის რეჟიმის მომხრეთა შორის მტკივნეულ რეაქციას იწვევს.

ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით საქართველოში სტარტი მიეცა რუსულ-ქართული ურთიერთობების საყოველთაო-სახალხო განხილვას. დასაწყისისათვის თბილისში, სასტუმრო „ვერე პალასში", შეიკრიბნენ ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, ვეტერანი სპორტსმენები, აგრეთვე ახალგაზრდა პოლიტოლოგები. კრებაზე გაცხადებულ იქნა ახალი მთავრობის კურსის მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია რუსეთთან ურთიერთობების დალაგებისაკენ, ისევე როგორც, განსაკუთრებული შეფასება მიეცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ღვაწლს ორ მართლმადიდებელ ერს შორის სულიერი კავშირების შენარჩუნებაში. განცხადების ტექსტი დაურიგდათ კრების მონაწილეებს და საბოლოოდ, ზოგიერთი გამონაკლისისა და სტილისტური შენიშვნების გათვალისწინებით, მოწონებულ იქნა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

როგორც გაირკვა, ეს ხელს არ აძლევს „ნაციონალებსა" და მათ დამქაშებს, რომლებიც ჯერ კიდევ ფლობენ ძირითად სატელევიზიო არხებსა და ბევრ ინტერნეტ-საიტს. ევრაზიის ინსტიტუტის წინააღმდეგ გაჩაღებულ იქნა ცილისმწამებლური კამპანია, ხოლო კრების ცალკეულ მონაწილეებზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში, პირველ არხზე 1 მარტს გასული სატელევიზიო შოუ „აქცენტები".

მედიანიუსი. სასტუმრო „ვერე პალასში" ევრაზიის ინსტიტუტის თაოსნობით, რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ პირველი საზოგადოებრივი დისკუსია გაიმართა. ღინისძიებას ესწრებოდნენ: დიმა

ჯაიანი, გია ბურჯანაძე, ანსამბლ „ფორტეს“ წევრები, მაია ჯაბუა, გოგი ხარაბაძე, დავით ოქიტაშვილი, ჯუმბერ ლომინაძე, ლელი ჯაფარიძე და საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგნელები.

შეხვედრაზე რუსეთთან ურთიერთობის საკითხში მთავრობის პოზიცია განიხილეს. ასევე ისაუბრეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ღვაწლის მნიშვნელობაზე ორი ქვეყნის ურთიერთობის აღდგენის საკითხში. მათი თქმით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის კულტურული თანამშრომლობა და ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე დავით ოქიტაშვილმა აღნიშნა, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა პირველ რიგში კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით უნდა დაიწყოს, რადგან რუსეთში ძალიან აფასებენ ქართულ კულტურას. მისი ცნობით, სულ მალე კრემლში „ერისიონის“ კონცერტი გაიმართება და იმდენად მონატრებულია რუსული საზოგადოება ქართულ ხელოვნებას, ბილეთები უკვე აღარ იშოვება.

„ეს პოზიტიური მხარეები კარგად უნდ აქნას გამოყენებული. კულტურული ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს. სწორედ ამ საკითხების განსახილველად შევიკრიბეთ დღეს ჩვენ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები“, — აღნიშნა დავით ოქიტაშვილმა.

დისკუსიის დასასრულს შეხვედრის მონაწილეებმა რუსეთთან ურთიერთობის თემაზე მათ მიერ შემუშავებულ რეზოლუციას მოწერეს ხელი. ღონისძიების ბოლოს კი ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი დაფუძნდა.

Новости-Грузия. Первая общественная дискуссия по грузино-российским отношениям, организованная по инициативе неправительственной организации «Институт Евразии», состоялась в тбилисском отеле «Вере Палас» в среду 27 февраля. В рамках встречи был создан Клуб молодых политологов, который

будет заниматься тематикой грузино-российских отношений.

«Впервые за все последнее время в Грузии прошла подобная встреча. В ней приняли участие представители интеллигенции, молодежи, деятели культуры и спорта», - сообщил «Новости-Грузия» руководитель Института Евразии Гулбаат Рцхиладзе. При этом он особо отметил, что «долгие годы нам пытались внушить, что якобы молодежь настроена против данной тематики. Но ничего подобного мы не заметили».

«Сегодня нами был создан Клуб молодых политологов, которые будут заниматься грузино-российскими отношениями. Пока в него объединились около 20 человек, и в ближайшее время они приступят к работе и начнут проведение встреч и дискуссий», - заявил Рцхиладзе.

Подводя итоги сегодняшней встречи, руководитель Института Евразии также сообщил, что ее участники «зафиксировали поддержку курса нового правительства Грузии, который подразумевает урегулирование отношений с Россией и подчеркнули большое значение вклада главы Грузинской Православной церкви, Католикос-Патриарха Всея Грузии Ильи Второго в дело укрепления российско-грузинских отношений, и в то, что он не дал разрушить духовные и церковные связи, и сохранил дипломатические каналы для общения».

«За исключением отдельных возражений, в целом все участники встречи единодушно высказались за то, что надо поддерживать курс грузинского правительства и укреплять связи с Россией, и приняли соответствующую резолюцию», - сообщил Гулбаат Рцхиладзе.

მარტი, 2013 წ.: ფართომასშტაბიანი მედია-კამპანიის ჩატარება საქართველოსა და რუსეთის დაახლოების მხარდასაჭერად, მეგობრობისა და ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის საფუძველზე (მაგ., ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის მონაწილეობა სატელევიზიო და რადიო-დებატებში).

აპრილი, 2013 წ.: კონფერენციის გამართვა თემაზე: „დასავლური რელიგიური ორგანიზაციები საქართველოში და მათი პოლიტიკური მიზნები".

ევრაზიის ინსტიტუტმა ორგანიზება გაუკეთა საქართველოში არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების თემაზე საზოგადოების წარმომადგენელთა შეკრებას - პრობლემას განიხილავდნენ თეოლოგები, პოლიტოლოგები, უსაფრთხოების საკითხებში სპეციალისტები. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, **მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი**, ბიზანტიოლოგი, რელიგიის საკითხების მკვლევარი, პროფესორი **გვანცა კოპლატაძე**, ყოფილი პარლამენტარი და დიპლომატი **ჰამლეტ ჭიპაშვილი**, ყოფილი პოლიტპატიმარი, მართლმადიდებელი აქტივისტი **შოთა აფხაიძე**, უშიშროების საკითხების ექსპერტი, პოლკოვნიკი **დავით ფურცხვანიძე**, პოლიტოლოგი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გულბაათ რცხილაძე** და სხვები.

ლიბერალური პრესა კვლავ შეეცადა, გაეშავებინა ევრაზიის ინსტიტუტის კეთილი წამოწყებანი, მიაწერა რა მას რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობა. აი მაგალითისათვის, „ნეტგაზეთის" მასალა:

დისკუსია საფრთხეებზე თუ რელიგიური შუღლის გაღვივება

რა საფრთხეებს უქმნის საქართველოს „არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობა" – ეს საკითხი შეარჩია „ევრაზიის ინსტიტუტმა" კონფერენციის თემად, რომელიც დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე აცხადებს, რომ "ბოლო დროს მომრავლებული რელიგიური სექტების" საქმიანობა პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს და აუცილებელია ამის შესახებ სახელმწიფოს და საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდოს.

„ტოლერანტობის ცენტრის" ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი კი აცხადებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ტერმინ „სექტას" არ ცნობს:

„არანაირი სამართლებრივი მექანიზმი და სამართლებრივი ჩარევის შესაძლებლობა სახელმწიფოს არ აქვს ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების საქმიანობაში და ამგვარი შეხვედრები მხოლოდ შუღლს აძლიერებს რელიგიურ ნიადაგზე", – აცახდებს ბექა მინდიაშვილი.

„საქართველო პლაცდარმად იქცა აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, შუა აზიის რელიგიური ლიტერატურით მოსამარაგებლად. ირანელი მოქალაქეები რომ ჩამოდიან საქართველოში, მათ ხელში ჩრიან რელიგიურ, სექტანტურ ლიტერატურას, მიდის დიდი პროპაგანდა. აზერბაიჯანში და ირანში შეშფოთებული არიან, რომ საქართველო გახდა პლაცდარმი მათ ქვეყნებზე სამუშაოდ, როგორც რელიგიური სექტების, ასევე, ამ

სექტების მანტიაში გახვეული სხვადასხვა ჯურის სპეცსამსახურებისათვის. გამომდინარე აქედან, ჩვენ ძალიან სიფრთხილე გვმართებს და ამ პრობლემაზე სახელმწიფოს და საზოგადოების ყურადღების გასამახვილებლად შევიკრიბეთ", – განაცხადა გულბაათ რცხილაძემ. მისი თქმით, უცხო ქვეყნებიდან „სხვადასხვა სექტების" შემოსვლის საფრთხეს ლიბერალური სავიზო რეჟიმი აძლიერებს.

შეხვედრას ესწრებოდა ყოფილი პარლამენტარი ჰამლეტ ჭიპაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებების შემოსვლა ადრეული პერიოდიდან დაიწყო:

„შემოსვლის პროცედურები იმდენად მძლავრი იყო ფინანსურად, რომ მას მთელი საზოგადოებაც კი ვერ აღუდგებოდა წინ, იმ პერიოდში ამერიკის ელჩი პარლამენტში მოვიდა და თავს უფლება მისცა ჩვენთვის მოეთხოვა, ბასილ მკალავიშვილის საქციელი დაგვეგმო. დღესაც იგივე გრძელდება, რადგან როგორც ძველი, ახალი ხელისუფლებაც ამ ხალხს ამის გასაქანს აძლევს".

ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკისა და ირანის დაპირისპირების ფორმებზე საუბრობს:

„დღეს მოიყვანეს მაგალითები, რომ ირანიდან ჩამოფრენილ რეისებს ხვდებიან რაღაც ჯგუფები და ლიტერატურას აჩეჩებენ ხელში, საქართველო გახდა პოლიგონი, რომ ირანიდან ჩამოსულს რაღაც შეაჩეჩოს არა ქართველმა, არამედ ისევ უცხოეთიდან ჩამოსულმა, ხშირად ამერიკის დაინტერესება ირანის მიმართ ამ ფორმებსაც იღებს. შუაგულ თბილისში რაღაც ფარდული დგას, ჯვარი აქვს გამოსახული და სპარსული წარწერებია, ესეც რაღაც რელიგიური ლიტერატურაა, რომელიც მიმართულია ირანის მოქალაქეებზე", – განაცხადა ნანა დევდარიანმა.

ბექა მინდიაშვილის განცხადებით, „ევრაზიის ინსტიტუტი" და მათი მომხრეები რუსეთზე ორიენტირებული არიან და მათი მხრიდან მსგავსი განცხადებები ამერიკის შეერთებული შტატების დემონიზაციას ისახავს მიზნად:

„სახელმწიფო არ საზღვრავს იმას, თუ რომელია ტრადიციული რელიგიური გაერთიანება და რომელი არატრადიციული, კონსტიტუცია იცავს რელიგიის თავისუფლებას, ამავდროულად, სინოდი, 2011 წლის დადგენილებით, საქართველოში რწმენის თავისუფლებას აღიარებს და აცხადებს, რომ ყველა რელიგიური გაერთიანება და ნებისმიერი მრწამსის ადამიანი უნდა იყოს თანასწორი კანონის წინაშე. ამ ტიპის განცხადებები ხელს უწყობს შეუწყნარებლობის გაღვივვებას. განცხადებები, რომ სექტების მხრიდან საქართველოს საფრთხე ემუქრება და ამ სექტების მიღმა გაურკვეველი ძალები დგანან, ჩვეულებრივი კარგად ნაცნობი შეთქმულების თეორიების თხზვაა. საქართველომ უკვე გამოიარა ეს ეტაპი, ბასილ მკალავიშვილის და შარაძის პერიოდი", – აცხადებს ბექა მინდიაშვილი.

მაისი, 2013 წ.: 9 მაისს, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა საპატივსაცემო ღონისძიებების გამართვა.

10 ივნისი, 2013 წ.: თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის“ წინ, სადაც ნატოს სტრუქტურების მიერ ქართველი ახალგაზრდობისათვის სემინარი იმართებოდა „საქართველოში ნატოს კვირეულის ფარგლებში“, გაიმართა ახალგაზრდული საპროტესტო აქცია ალიანსისა და მისი გენ. მდივნის რასმუსენის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც საქართველოს, ისე მთელ პოსტსაბჭოურ სივრცესთან მიმართებაში.

28 ივნისი, 2013 წ.: წარმომადგენლობითი საექსპერტო კონფერენცია მოსკოვში ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით

მოსკოვის „პრეზიდენტ-ოტელში“ გაიმართა (28.06.2013) საერთაშორისო კონფერენცია „კრიზისი ახლო და შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ კავკასიისა და კასპიის უსაფრთხოების პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ექსპერტებმა რუსეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, ასევე ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკებიდან – აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა ძირითად მიზნად დაისახეს კავკასიის რეგიონში შექმნილი ვითარების ანალიზი, აგრეთვე რეგიონის განვითარების პერსპექტივები, ირანში მომხდარი ცვლილებების, სირიის კრიზისისა და თურქეთში მიმდინარე საპროტესტო აქციების გათვალისწინებით.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ საკუთარი ხედვა გამოხატა ახლოაღმოსავლურ კონფლიქტებში აშშ-სა და ისრაელის პოზიციებთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, ისრაელში სირიის ოპოზიციისადმი და ბ. ასადის წასვლისადმი დომინირებული მხარდაჭერის მიზეზს წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკის დასუსტება. აშშ კი, გ. რცხილაძის აზრით, დიდწილად იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ე. წ. „ისრაელის ლობის“.

აფხაზეთის რესპუბლიკის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ შეკრებილთა ყურადღება გაამახვილა „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ კომუნიკაციების განვითარების საკითხზე. „სასინჯ ქვად“ მან დამსწრეებს შესთავაზა რუსეთის, აფხაზეთის, საქართველოსა და ირანის შემაერთებელი მაგისტრალის შექმნა. ამასთან, ს. შამბამ მიუთითა „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ მიმართულებით კომუნიკაციების განვითარების აქტიურ მცდელობებზე, რეგიონის გარე ძალების მხრიდან. „ჩვენ ჩვენსავე რესურსებს უნდა დავეყრდნოთ“ – განაცხადა ს. შამბამ.

19 ივლისი, 2013 წ.: ევრაზიის ინსტიტუტის მხარდაჭერით ვლადიმირ მაიაკოვსკის იუბილე აღინიშნა

2013 წლის 19 ივლისს საქართველოში ფართოდ აღინიშნა ჩვენი გამოჩენილი თანამემამულის, ვლადიმირ მაიაკოვსკის იუბილე. ბაღდადში, სადაც 120 წლის წინ დაიბადა მაიაკოვსკი და სადაც დღეს მისი სახლ-მუზეუმი არსებობს, გაიმართა ლექსების კითხვა, კონცერტი, ფილმების ჩვენება... რიგი საზეიმო ღონისძიებების ორგანიზატორი „საქართველოს და რუსეთის ურთიერთობების საზოგადოებათა კავშირი“ (ქ-ნი ნანა წითელაშვილი) იყო, ხოლო ფინანსური მხარდაჭერა ევრაზიის ინსტიტუტმა გასწია. ღონისძიებების ორგანიზებაში წვლილი ასევე შეიტანა ბაღდადის მაჟორიტარმა პარლამენტარმა ბატონმა პაატა კიკნაველიძემ („ქართული ოცნება“).

13 აგვისტო, 2013 წ.: აგვისტოს ომი: ხუთი წლის შემდეგ – პასუხები მთავარ კითხვებზე

ევრაზიის ინსტიტუტმა საზოგადოებას შესთავაზა აგვისტოს ომის მიზეზების კვლევა, ამ დროს ყურადღების ფოკუსირება მოხდა ***უმთავრეს ფაქტორებზე***.

ამ გამოკვლევის მიზანია, ნათელი მოჰფინოს საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტს - 2008 წლის სამხედრო კონფლიქტს რუსეთის და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის. თუ არ იქნა გააზრებული ამ ომის დაწყების რეალური მიზეზები, ქრონოლოგია და ის, თუ ვის აწყობდა მისი გაჩაღება, ჩვენ ვერ გამოვალთ შიდა თუ გარე ძალების მიერ შექმნილი მრუდე სარკეების ტყვეობიდან. ამის გარეშე კი შეუძლებელია საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე სწორი მსჯელობა.

შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ:

ა) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა, აშშ-ს იმდროინდელი ადმინისტრაციის წაქეზებით და როგორც მინიმუმ, წაყრუებით.

ბ) რუსეთი ობიექტურად არ იყო დაინტერესებული სეპარატისტული რესპუბლიკების დე-იურე აღიარებით, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მას სხვა გამოსავალი არ დაუტოვა საქართველოს ხელისუფლებამ.

გ) რუსეთი დღესაც არ არის დაინტერესებული საქართველოს დაშლით და დანაწევრებით. პირიქით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთი მომავალში გახდეს საქართველოში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშემწყობი და გარანტი.

დ) ტყუილია სააკაშვილის და ნაცმოძრაობის პროპაგანდისტთა მტკიცება, რომ რუსეთი საქართველოს დაუძინებელი და ბუნებრივი მტერია. ორ ქვეყანას შორის შექმნილი რთული სიტუაცია სააკაშვილის რეჟიმის და ცალმხრივად პროდასავლური და ანტირუსული საგარეო პოლიტიკური კურსის ბრალია.

ნოემბერი, 2013 წ.: ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ინტერვიუ მისცა გაზეთს «Абхазский меридиан» და პასუხი გასცა აფხაზი ჟურნალისტებისათვის საინტერესო შეკითხვებს („ადამიანი ადამიანისათვის მგელი არ არის, მათ შორის, ქართველი – აფხაზისათვის“).

.

საქართველოში საჯაშუშო-სექტანტური ორგანიზაციების მომძლავრება გრძელდება

ევრაზიის ინსტიტუტმა გამოააშკარავა უცხოური აგენტურა, რომელიც საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებს, ეგზოტიკური რელიგიური ორგანიზაციის – „ქრისტიან

სიონისტთა ეკლესიის“ „კრიშის“ ქვეშ. ამ ორგანიზაციის უცხოელ ხელმძღვანელებს მ. სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა აჩუქა. იხ. **07.12.2013**-ის მასალა ჩვენს ვებ-გვერდზე.

04 თებერვალი, 2014 წ.: ევრაზიის ინსტიტუტმა მხარი დაუჭირა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფს, რომელთაც მხარდაჭერა გამოხატეს სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მიმართ.

16 თებერვალი, 2014 წ.: ევრაზიის ინსტიტუტმა ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას პატივი მიაგო

ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ბადრი პატარკაციშვილის საფლავზე თაიგული მიიტანეს, ქართველი პატრიოტის გარდაცვალების (მკვლელობის) მე-6 წლისთავთან დაკავშირებით.

24 მარტი, 2014 წ.: ნატოს აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ თბილისსა და ბათუმში აღინიშნა

ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით, 24 მარტს, 13 საათზე, თბილისის, აგრეთვე რეგიონებიდან ჩამოსული საზოგადოება, შეიკრიბა კინოს სახლში – კინოს საჩვენებელ დარბაზში, სადაც გაიმართა 30-წუთიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენება იუგოსლავიის დაბომბვისა და შემდგომი პერიოდის ამსახველი ვითარების შესახებ. ამ ფილმის მიზანია, საზოგადოებას შეახსენოს და ნაწილობრივ გააცნოს ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან არა მხოლოდ იუგოსლავიის სახელმწიფოს, არამედ მართლმადიდებლური ცივი-

ლიზაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

ფილმის ჩვენების შემდეგ შეკრებილმა საზოგადოება მოაწყო ქუჩის მსვლელობას, სერბი ხალხის ტრაგედიისა და ნატოსადმი კრიტიკის ამსახველი ტრანსპარანტებითა და პლაკატებით. მსვლელობა რუსთაველის გამზირის მიმართულებით და დასრულდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, გუდიაშვილის 7, სადაც „ნატოს საინფორმაციო ცენტრია" განთავსებული.

15 წლის წინ, 1999 წლის 24 მარტს ნატოს ავიაციამ საერთაშორისო სამართლის, გაეროს გვერდის ავლით, მოგონილი საბაბით (ვითომ ალბანელების გენოციდი იუგოსლავიის მხრიდან) დაიწყო იუგოსლავიის განადგურება. დაბომბვები 10 ივნისამდე გრძელდებოდა. აღდგომა დღეს , აპრილში, ჩამოყარეს ბომბები წარწერით - „გილოცავთ აღდგომას". ამ დაბომბვებმა გამოიწვია იუგოსლავიის ინფრასტრუქტურის განადგურება, 1700 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, შემდეგ კი სერბეთს კოსოვო გამოეყო დასავლეთის დახმარებით – შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც დასავლეთმა მხარი დაუჭირა სეპარატიზმს.

კოსოვოში გაანადგურეს მრავალი სერბული ტაძარი და მონასტერი, ამიტომ აქციამ ჩაიარა ლოზუნგით – „სერბეთის სიწმინდეები – ჩვენი სიწმინდეებიცაა!"

ბათუმში ანალოგიური აქცია ჩატარდა – ბათუმელებმა მხარი დაუჭირეს ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივას და გააპროტესტეს ნატოს აგრესიას სერბი ხალხის წინააღმდეგ.

აქციამ „ნაციონალებისა" და „ლგბტ" საზოგადოების მძაფრი გაღიზიანება გამოიწვია, ადგილი ქონდა ქუჩის დაპირისპირებას, მაგრამ ევრაზიის ინსტიტუტმა თავისი დასახული მიზანი განახორციელა.

07 აპრილი, 2014 წ.: შეხვედრები პოლიტოლოგიურ ელიტასთან მოსკოვში

ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლები **გულბაათ რცხილაძე** და **შოთა აფხაიძე** 1-იდან 3 აპრილის ჩათვლით რუსეთის დედაქალაქში იმყოფებოდნენ საქმიანი ვიზიტით. გაიმართა დაგეგმილი შეხვედრები რუსეთის უმნიშვნელოვანეს პოლიტოლოგიურ ცენტრებში, რომელთა მომსახურებითაც უშუალოდ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სარგებლობს. ევრაზიის ინსტიტუტი გულწრფელ მადლობას გამოხატავს საქართველოში რუსეთის ყოფილი ელჩის, ბატო **ფელიქს სტანევსკის** მისამართით, რომლის ინიციატივითაც შესაძლებელი გახდა ამ შეხვედრების გამართვა.

პირველი შეხვედრა გაიმართა რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში (РИСИ), რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში შედის და რუსეთის წამყვან პოლიტოლოგიური ცენ-

ტრს წარმოადგენს. შეხვედრაში რუსული მხრიდან მონაწილეობას ღებულობდნენ სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გენერალი **ლეონიდ რეშეტნიკოვი**, რომელიც უწინ რუსეთის საგარეო დაზვერვას ხელმძღვანელობდა, მისი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **თამარა გუზენკოვა**, კავკასიის კვლევების სექტორის ხელმძღვანელი **არტურ ატაევი**, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები **კ. ტასიცი** და **ე. ბახრევსკი**. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. ბატონმა რეშეტნიკოვმა განაცხადა, რომ РИСИ-ს საქართველოში, ინტერესის მიუხედავად, პარტნიორები ჯერ არ ჰყავს და ევრაზიის ინსტიტუტთან თანამშრომლობის დაწყება საინტერესო და პერსპექტიული ჩანს. დასაწყისისათვის პრიორიტეტულად ორივე მხარის მიერ დასახელდა საქართველოში რადიკალური ისლამისტური სექტების მომრავლებისა და გაძლიერების პერსპექტივების ერთობლივი შესწავლა, ასევე ინფორმაციებისა და მოსაზრებების ურთიერთგაცვლა. რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გამოხატა დაინტერესება, საქართველოს თანხმობის შემთხვევაში, გაცნობითი ხასიათის ვიზიტი განახორციელონ და საექსპერტო მრგვალი მაგიდა გამართონ ჩვენს ქვეყანაში. ორივე მხარის აზრით, საექსპერტო მრგვალი მაგიდებისა და კონფერენციების გამართვას თანდათან რეგულარული სახე უნდა მიეცეს.

ასევე სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა შეხვედრამ გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტთან, სამხედრო გენერალ **კონსტანტინ სივკოვთან**. ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღ-

ვანელმა, გულბაათ რცხილაძემ ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენთვის გაცილებით იოლი და მისაღებია, ურთიერთობა ვიქონიოთ რუს პატრიოტებთან, ვიდრე გაურკვეველი წარმომავლობისა და პოლიტიკური ორიენტაციის ლიბერალებთან, რადგან ჩვენ თავად ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ვართ და ამ საფუძველზე უფრო იოლად გავუგებთ ერთმანეთს“. გენერალი სივკოვი ამ სიტყვებს მთლიანად დაეთანხმა და თავისი უდიდესი პატივისცემა დაადასტურა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ორ ინსტიტუტს შორის დაიწყება თანამშრომლობა.

დიდი პროდუქტიულობით გამოირჩევა შეხვედრა დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტში, ამ ინსტიტუტის დირექტორის პირველ მოადგილესთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ **ვლადიმირ ეგოროვთან**. აღნიშნულ შეხვედრას რუსული მხრიდან ესწრებოდნენ ფელიქს სტანევსკი, ასევე ცნობილი პოლიტოლოგები – კავკასიის მკვლევართა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი **ანდრეი არეშევი** და დამოუკიდებელი პოლიტოლოგი **ანდრეი ეპიფანცევი**. შეხვედრაზე გაკეთდა ანალიზი რუსულ-ქართული საექსპერტო ურთიერთობების განვითარების პერსპექტივის თაობაზე და აღინიშნა, რომ საჭიროა, დაინტერესებულმა რუსულმა ინსტიტუტებმა ჩამოაყალიბონ ერთობლივი სტრატეგია საქართველოსა და ქართველ პარტნიორებთან დაკავშირებით. დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ბატონმა ეგოროვმა ასევე უდიდესი პატივისცემა და თბილი გრძნობები გამოხატა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

საინტერესო გამოდგა ასევე შეხვედრა ახლად დაარსებულ პოლიტიკური კონფლიქტების პროგნოზირებისა და დარეგულირების ინსტიტუტთან, რომლის დირექტორია **ნიკოლაი ნიკოლაევი**, მოადგილე – **ალექსანდრე კუზნეცოვი**. გადაწყდა თანამშრომლობა ორ ინსტიტუტს შორის.

1-3 აპრილის მოსკოვური ვიზიტი მთლიანობაში დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან გამართული შეხვედრები შესაძლებლობას იძლევა, ქართველმა პოლიტოლოგებმა და განსაკუთრებით, პოლიტიკოსებმა, კავშირები დაამყარონ და დიალოგი აწარმოონ რუსეთში ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ აზრზე რეალური გავლენის მომხდენ პიროვნებებთან და ორგანიზაციებთან, ნაცვლად შემთხვევითი პირებისა. ეს მით უფრო აქტუალურია, როდესაც კარასინ-აბაშიძის მოლაპარაკებების ფორმატმა თავისი დადებითი როლი უკვე შეასრულა და მისი რესურსები ლოგიკურად შემცირდა.

08 ივლისის 2014 წ.: ისლამიზმი და კავკასიის უსაფრთხოება – მრგვალი მაგიდა

ევრაზიის ინსტიტუტმა 4 ივლისს, რუსეთის სტრატეგიული კვ-

ლევების ინსტიტუტთან ერთად, თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“, გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე – **„ისლამისტური იდეოლოგია და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები“**. კონფერენციის მონაწილე ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა, საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიური უმცირესობის (კერძოდ, ისლამის) წარმომადგენლებმა, ხაზგასმით აღნიშნეს ისლამის აგრესიული ვერსიის გააქტიურება რეგიონში, რომელიც გარე ძალების მიერ იკვებება. რუსეთის სტრატეგიული ინსტიტუტი ისლამიზმის პრობლემებს სკრუპულოზურად შეისწავლის. ამ საბიუჯეტო ინსტიტუტის წარმომადგენელმა (რომელიც სტრუქტურულად რუსეთის პრეზიდენტს ექვემდებარება) ა. ატაევმა ჩატარებული კვლევების ერთი ნაწილი წარადგინა ქართული საზოგადოების წინაშე, რომელიც ისლამისტების მხრიდან სოციალურ ქსელებში გაშლილ აქტიურობებს მოიცავდა. სამწუხაროდ, საქართველოში არათუ მსგავი კვლევები, არამედ საერთოდ არანაირი პოლიტოლოგიური კვლევა არ ტარდება სახელმწიფოს მხარდაჭერით. მხოლოდ ის ინსტიტუტები მუშაობენ, რომლებსაც აშშ და სხვა დასავლური სახელმწიფოები აფინანსებენ და თავიანთ ჭკუაზე ამუშავებენ კიდეც. ამიტომ ევრაზიის ინსტიტუტი ეცდება, რუს კოლეგებთან თანამშრომლობის გზით, ასეთი ტიპის კვლევები საქართველოშიც განახორციელოს. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ მრგვალ მაგიდაში მონაწილე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა, რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსმა, შესანიშნავმა და ღრმად განსწავლულმა სასულიერო მოღვაწემ და უსათნოესმა პიროვნებამ – **მეუფე იოანემ (გამრეკელი)** განაცხადა: „დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ამგვარი პრობლემების მოგვარება ჩვენ, ქართველებს, არ გვიწევდა, ამას ჩვენს ნაცვლად აგვარებდნენ. დღეს ჩვენ ყველას, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს, საკუთარი ინტერესები გვაქვს, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვართ, მაგრამ ერთმანეთის გარეშე მაინც არ შეგვიძლია ცხოვრება“.

მოხსენებებით წარსდგნენ ქართველი და რუსი სპეციალისტები.

არტურ ატაევი (რუსეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრის კავკასიური კვლევების სექტორის ხელმძღვანელი): „ისლამი და რადიკალიზმი სოციალურ ქსელებში”.

იოსებ არჩვაძე (ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი): „საქართველოს მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური განაწილება”.

გიორგი ვეკუა (ევრაზიის ინსტიტუტის პოლიტიკური ექსპერტი): „ისლამიზმისა და ისლამური ფაქტორის დინამიკა პოსტსაბჭოურ სივრცეში”.

ზაურ მჭედლიშვილი (თურქოლოგი, დიპლომატი): „ფეთჰულა გიულენის მოძრაობა”.

პროექტი „სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის“

სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის ევრაზიის ინსტიტუტის მიერ იქნა ინიცირებული და შეიქმნა, როგორც ქართველი ხალხის პასუხი იმ პოლიტიკური ძალების მიმართ, იქნებიან ისინი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, რომლებიც ხელოვნურად ძაბავდნენ და დღესაც ცდილობენ, დაძაბონ ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის. განა საქართველოს ინტერესებშია რუსეთთან დაძაბულობის შენარჩუნება? განა ერთი მუჭა ნაციონალისტების, პროვოკატორებისა და უცხოური აგენტურის მიერ ბოლო 20-25 წლის მანძილზე რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს გაქეზებამ რაიმე სიკეთე მოუტანა ჩვენს ქვეყანას? გვსურს თუ არა, რუსეთთან თანასწორუფლებიანი დიალოგი და თანამშრომლობა?.. – ეს შეკითხვები დავუსვით ჩვენს თავს.

ამ კითხვებს პასუხი ისევ პროვოკატორებმა და უცხოეთის მიერ დაქირავებულმა ლაქიებმა კი არ უნდა გასცენ, არამედ ქართველებმა - ეგრეთ წოდებულმა „უბრალო ხალხმა”, რიგითმა მოქალაქეებმა. სწორედ მათ უნდა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მდგომარეობა უშუალოდ ამ ადამიანების ბედზე აისახება. რუსეთი არის ჩვენი დიდი მეზობელი, რომელზეც ქართული ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. რუსეთიდან საქართველოში დიდძალი ნაღდი ფული იგზავნება, რადგან სწორედ რუსეთში ცხოვრობს უცხოეთში წასული ქართველების უმრავლესობა. რუსეთში მცხოვრებ ქართველებს აქვთ საშუალება, იშრომონ და თავიანთი დანაზოგები საქართველოში გამოუგზავნონ ნათესავებსა და მეგობრებს. გარდა ამისა, ქართველებსა და რუსებს უამრავი ისტორიული მოვლენა, დაბოლოს, ერთი, მართლმადიდებელი რწმენა გვაკავშირებს.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ევრაზიის ინსტიტუტმა საფუძველი ჩაუყარა სახალხო მოძრაობის შექმნას, რომლის ფარგლებშიც თავად ქართველი ხალხი გამოთქვამს თავის მოსაზრებას. სახალხო მოძრაობა ღიაა ყველა კეთილი ნების ქართველი ადამიანისთვის, საქართველოს მოქალაქისთვის, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ჭეშმარიტი ინტერესები, დაწყებული საქართველოს ერთიანობით და დასრულებული ეკონომიკური კეთილდღეობით, რომელთა განხორციელებაც რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია. სავსებით ბუნებრივია, რომ სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის მხარს უჭერს ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დეკლარირებულ კურსს, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ისახავს მიზნად.

სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე (www.georus.org) სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის წარმოადგენს თავის წევრებს - ათასობით ადამიანს, რომელთაც ისურვეს ქართულ-რუსული ურთიერთობების მხარდაჭერა. ვებ-გვერდზე ასევე იხილავთ რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ახალ ამბებსა და ანალიტიკურ მასალებს.

სახალხო მოძრაობის გამგეობის წევრები:

გვანცა კოპლატაძე – ბიზანტინისტი, პროფესორი

გრიგოლ რუხაძე – ჟურნალ „სამი საუნჯის“ მთავარი რედაქტორი

იოსებ არჩვაძე – პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ნანა წითელაშვილი-ერმაკოვა – ჟურნალისტი, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობათა საზოგადოებების გაერთიანებათა თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ზაურ მჭედლიშვილი – თურქოლოგი, საქართველოს ყოფილი კონსული ქ. ტრაბზონში

ჰამლეტ ჭიპაშვილი – პოლიტოლოგი, საქართველოს ყოფილი გენერალური კონსული, ყოფილი პარლამენტარი

გივი ვანიშვილი – სახალხო მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარი

იოსებ ქორიძე – იურისტი-სამართალმცოდნე, შსს ვეტერანი

ლევან ოქროჭელიძე - აღმასრულებელი მდივნის მოადგილე, ისტორიკოსი

სახალხო მოძრაობის მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

12 დეკემბერი 2013 წ.: სახალხო მოძრაობის პრეზენტაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში შედგა. ბერშუეთის, კირბალის და ზეღდულეთის მცხოვრებნი ცალსახად და კატეგორიულად გამოვიდნენ რუსეთთან დაახლოების მოთხოვნით. მათი აზრია ის, რომ ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

28 თებერვალი, 2014 წ.: ევრაზიის ინსტიტუტმა და სახალხო მოძრაობამ ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის გორის რაიონში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, სოფელ ბერშუეთში ჰუმანიტარული აქცია გამართეს ამ და მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებთა დახმარების მიზნით. გაზაფხულის დამდეგს ოჯახებში ზამთრის სასურსათო მარაგი იწურება და ამიტომ მცირედი შემოწირულობაც ამ ხალხისათვის რეალურ დახმარებას ნიშნავს.

სწორედ ამ მიზნით ჩავიდა სოფელ ბერშუეთში დელეგაცია მოკრძალებული ჰუმანიტარული ტვირთით, რომელიც ევრაზიის ინსტიტუტის წევრებისა და სახალხო მოძრაობის გამგეობის წევრების მიერ იქნა შეძენილი, პირადი დანაზოგებიდან.

21 მარტი, 2014 წ.: სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის, ევრაზიის ინსტიტუტის ხელშეწყობით, აგრძელებს შიდა ქართლის კონფლიქტის ზონის მოსახლეობასთან შეხვედრებს და ჰუმანიტარულ აქციებს. ამჯერად შეხვედრა გაიმართა ქარელის რაიონის სოფელ დირბში.

დირბელები კიდევ უფრო კატეგორიულნი აღმოჩნდნენ თავიანთ მოთხოვნაში, მოხდეს ქართულ-რუსული ურთიერთობების სრულფასოვანი აღდგენა და კონფლიქტის ზონის მოსახლეობას ამ გზით ამოსუნთქვის საშუალება მიეცეს.

მოგვიანებით, აპრილის მეორე ნახევარში, სახალხო მოძრაობის წევრებმა სოფელ დირბს უფასო სამედიცინო ამბოლატორიული დახმარება შესთავაზეს, ჰუმანიტარული დახმარების სახით. ანალოგიური აქციები გაიმართა ყველასაგან მივიწყებულ სოფლებში – ავლევში, კნოლევში, წერონისში...

ამ ჰუმანიტარული აქციის ორგანიზატორად, სახალხო მოძრაობასთან ერთად, მოგვევლინა **ქალთა საბჭო** (თავმჯდომარე – პროფ. მზექალა შანიძე). ამბულატორიული გამოკვლევები განახორციელა **დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკურმა ცენტრმა** (ხელმძღვანელი – ლალი გუჯაბიძე).

12 მაისი, 2014 წ.: 9 მაისი – ბრძოლა გრძელდება...

2014 წლის 9 მაისს, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, სახალხო მოძრაობამ სოფ. დირბში აღადგინა დიდების მემორიალი, რომელიც დროთა განმავლობაში იავარქმნილი იყო.

მონუმენტი აღდგენამდე ასე გამოიყურებოდა:

აღდგენის შემდეგ:

გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, სახალხო მოძრაობის ახალგაზრდა მხარდამჭერებმა აქცია მოაწყეს ქალაქ გორში, სადაც გამარჯვების ავტორის – გენერალისიმუს სტალინის ძეგლის თავის ადგილზე დადგმა მოითხოვეს. აქციის ორგანიზატორი ბატონი **ჯეირან კიკრიაშვილი** გახლდათ.

18 ივლისი, 2014 წ.: შემეცნებითი ექსკურსია: თბილისის არქიტექტურა და გამოჩენილი რუსი მოღვაწეები

სახალხო მოძრაობამ ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის, ევრაზიის ინსტიტუტის ხელშეწყობით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების მცხოვრებ ბავშვებისათვის საქველმოქმედო-შემეცნებითი აქცია მოაწყო. კერძოდ, 10-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, მოეწყო ექსკურსია საქართველოს დედაქალაქში. სახალხო მოძრაობისა და ევრაზიის ინსტიტუტის გაერთიანებული ძალებით, 60-ზე მეტი ბავშვი და რამდენიმე პედაგოგი ესტუმრა თბილისს. დედაქალაქის სტუმრებს შორის იყვნენ ბერშუეთელი, კირბალელი, ცერონისელი, ავნელელი და კნოლეველი ბავშვები. მათი დიდი ნაწილი აქამდე საერთოდ არ იყო ნამყოფი თბილისში და მათთვის ექსკურსია განსაკუთრებით საინტერესო იყო.

ექსკურსიის ორგანიზატორების მიზანს წარმოადგენდა, რომ ბავშვებს, გართობასთან ერთად, მიეღოთ ობიექტური ინფორმაცია თბილისის, როგორც ხალხთა მეგობრობის, განსაკუთრებით კი, ქართულ-რუსული მეგობრობის ქალაქის შესახებ. სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმის ანტირუსული და თან ანტიქართული ხასიათიდან გამომდინარე, მოსწავლეებს აღარ აწვდიდნენ არანაირ დადებით ინფორმაციას ქართულ-რუსული

ურთიერთობების შესახებ. სწორი სწავლებისა და აღზრდის პრობლემა ქართულ სკოლებში დღესაც მწვავედ დგას. ამიტომ სახალხო მოძრაობისა და ევრაზიის ინსტიტუტის წევრებმა ბავშვებს ინფორმაცია მიაწოდეს ქართველებისა და რუსების დიდი ისტორიული მეგობრობის შესახებ, აუხსნეს, რომ აღა-მაჰმად ხანის მიერ ძირფესვიანად დანგრეული თბილისის აღდგენა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოხდა და ამაში ქართველების მეგობარი წარჩინებული რუსების წვლილი განუზომელია. ასე მაგალითად, თბილისის პირველი გენერალური დაგეგმარება ალექსანდრე გრიბოედოვს ეკუთვნის. ამიტომაც ქართლის სოფლებიდან ჩამოსულმა ბავშვებმა გრიბოედოვის ძეგლი ყვავილებით შეამკეს. ასევე ყვავილებით შეამკეს ილიასა და აკაკის ძეგლი პირველი გიმნაზიის წინ, რომელიც, როგორც ცნობილია, 1991-92 წლების მოვლენების შემდეგ მოსკოვის მერისა და მთავრობის მხარდაჭერით იქნა აღდგენილი და გარემონტებული. ბავშვებმა პატივი მიაგეს ალექსანდრე პუშკინსაც, რომლის ბიუსტთანაც მიიტანეს ყვავილები პუშკინის სახელობის სკვერში.

სასიამოვნო სანახავი იყო ქართველი ბავშვების ინტერესიანი სახეები. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან მათ ქალაქში მეგზურობას ქალბატონი **ნანა წითელაშვილი** უწევდა, რომელიც ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების ისტორიის შესანიშნავი მცოდნე და

ალექსანდრე გრიბოედოვის ბიოგრაფიის მკვლევარია.

ექსკურსიის ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ბევრისაგან მივიწყებული ქართული სოფლებიდან ჩამოსულ ბავშვებს თბილისში ყოფნა საუკეთესო მოგონებად ექცეთ. იყო მულტფილმის ჩვენება კინოთეატრში, ხოლო სადილისა და სპეციალურად გამომცხვარი ტორტის შემდეგ ბავშვებმა ზოოპარკი დაათვალიერეს, გული იჯერეს ატრაქციონებზე თამაშით. ბავშვებს სპეციალური ბუკლეტები - მოსწავლის სამახსოვრო დაურიგდათ, სადაც აღწერილია რუსთაველის გამზირზე და ჩულურეთში მდებარე რამდენიმე უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლის ისტორია, რომელთა აშენებაც რუსი მოღვაწეების სახელებს უკავშირდება.

სახალხო მოძრაობა და ევრაზიის ინსტიტუტი მადლობას უცხადებენ ქალბატონ ლიკა ბებურიძეს („კავკასიონი სინერგია”) და კინოთეატრ „რუსთაველის” ადმინისტრაციას მულტფილმის უფასო ჩვენებისათვის, ქალბატონ მაია ბუჩუკურს („მსოფლიო ნაღმების გარეშე”), ქალთა საბჭოს (თავმჯდომარე ქ-ნი მზექალა შანიძე) და კომპანია „ბარამბოს” ბავშვების ტკბილეულით დასაჩუქრებისათვის, ასევე შპს „საქელექტრომანქანის” დირექტორს ბატონ ნუკრი ბარელაძეს, ბავშვებისთვის სასადილო დარბაზის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.